ევსები პამფილიელის (კესარიელი) პოლიტიკური თეოლოგიის ასპექტები

გურამ ლურსმანაშვილი*

შესავალი

ევსები კესარიელი (III-IV სს.) საეკლესიო ისტორიისათვის გამორჩეული პიროვნებაა. მისი მოღვაწეობისა თუ შრომების განხილვა უკვე დიდი ხანია მკვლევრებისათვის განსაკუთრებულად საინტერესოა. თანამედროვე პერიოდის დასავლელი თეოლოგები თუ ისტორიკოსები მის ნაშრომებს პოლიტიკური თეოლოგიის გადმოსახედიდანაც ძალიან აქტიურად იკვლევენ. წინამდებარე თემით დაინტერესებულ მკითხველს შევეცდებით ის ძირითადი მახასიათებლები შევთავაზოთ, რაც ევსები კესარიელის პოლიტიკურ თეოლოგიას გამოარჩევს.

„ქრისტიანთა „დევნის ეპოქის“ დასასრულად, როგორც წესი, რომის იმპერატორ კონსტანტინეს ეპოქას მიიჩნევენ, რომელმაც 313 წელს „მილანის ედიქტით“ (Edictum Mediolanense) ქრისტიანობას კანონიერი სტატუსი მიანიჭა. ამავე იმპერატორს უკავშირდება კონსტანტინოპოლის დაარსება, რასაც შემდგომში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ახალი ურთიერთობის ჩამოყალიბებაც მოჰყვა.“[1] იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა, საკუთარი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად იმპერიაში ძალიან მნიშვნელოვანი რელიგიური რეფორმის გატარება გადაწყვიტა, რისთვისაც მას აუცილებლად ესაჭიროებოდა იდეოლოგი (ან იდეოლოგთა ჯგუფი), რომელიც საზოგადოებას მის მიერ განხორციელებული თუ განსახორციელებელი რეფორმის სიკეთეების შესახებ მწყობრ სწავლებას შესთავაზებდა. ერთ-ერთი ასეთი იდეოლოგთაგანი კი ევსები კესარიელი აღმოჩნდა. მის მიერ ჩამოყალიბებული ძირითა-

* დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის თეოლოგიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი.g.lursmanashvili@sabauni.edu.ge

[1] ლურსმანაშვილი გ., პოლიტიკური თეოლოგია და მართლმადიდებლობა, ჟურნ. „დიალოგი“, №1(10), 2020, 61.

დი სწავლებების ნაწილს წინამდებარე თემაში რამდენიმე ქვეთა-ვად გადმოვცემთ.

პოლითეიზმი და პოლიარქია

ევსებისთვის, პოლითეიზმი და პოლიარქია, შეიძლება ითქვას, რომ ერთი ჯოხის ორი ბოლოა და ორივე მათგანი მკაცრად უარყოფითად განიხილება. ისტორიკოსი წერს, რომ დედამიწაზე მცხოვრები ხალხი დაყოფილი იყო და ისეთ პროვინციებში სახლობდა, რომლებიც დესპოტების, ან ბრბოს მიერ იმართებოდა. ეს ყოველივე კი განუწყვეტელი ბრძოლებისა და ომების მიზეზი გახლდათ.[2] ამის შემდეგ ევსები იმ სიკეთეების გადმოცემას იწყებს, რაც, მისი აზრით, პოლითეიზმისა და პოლიარქიის აღკვეთას მოჰყვა შედეგად. ისტორიკოსი წერს, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენი მაცხოვრის ძლევამოსილებით, პოლიარქია და დემონური პოლითეიზმი შეიმუსრა და დედამიწაზე განფენილ ყოველ ადამიანს ღმერთის ერთი სამეფო – რომის იმპერია განეცხადა, სხვადასხვა მთავრობანი და ხელმწიფებანი გაუქმდნენ, რათა მთელი კაცობრიობა ერთიანი და შეთანხმებული ყოფილიყო.[3] ამასთანავე, ავტორი წერს, რომ როგორც ერთი ღმერთი და ამ ღმერთის ერთი ცოდნა ყველას განეცხადა, ასევე, ერთი იმპერიაც კაცთა შორის განივრცო და მთელ კაცობრიობას შორის მშვიდობა და მეგობრობა დამყარდა, რამდენადაც ერთმანეთი ყველამ ძმებად აღიქვა და გააცნობიერა, რომ ადამიანებს საერთო ბუნება აქვთ. ჭეშმარიტმა რელიგიამ სხვადასხვა ხალხი ისე მიიღო, როგორც ერთი ღმერთის ძენი. ამგვარად, ამ დროიდან მოყოლებული, მსოფლიოს ყოველი მცხოვრები სახიერი და ზიარი ოჯახისაგან აღარ განირჩევა.[4]

---

[2] De Sepulchro Chrıstı, (SC, XVI, 2-3); იხ. ციტირება: Baş B., Constantıne and the Chrıstıan Church: The Dıvıne Roles of the Church and the Roman Empire in Eusebıus of Caesarea's De Sepulchro Chrıstı, Islâmi Ilimler Dergisi, Vol.11, No.2, 2016, 111.

[3] De Sepulchro Chrıstı, XVI, 5-6.

[4] იქვე, XVI, 7.

ევსებისთვის, თუკი პოლიარქია და პოლითეიზმი ერთი უარყოფითი ჯოხის ორი ბოლოა, საპირისპიროდ, ერთი იმპერია და ერთი ღმერთის რწმენა, ცალსახად დადებითი და ღვთიური მოვლენაა. იგი წერს, რომ როდესაც ერთი, რომაული იმპერიის განმგებლობა ყველგან განივრცო, მაშინ, იქამდე არსებული მუდმივი შეუბრალებელი და შეურიგებელი ბრძოლა ერთა შორის სრულად აღმოიფხვრა და ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ სწავლება გავრცელდა. მთელმა კაცობრიობამ ორი გამორჩეული სიკეთე მიიღო, რაც გახლდათ რომაული იმპერია და ჭეშმარიტი ღვთისმსახურების სწავლება.[5]

ევსების ეს დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩენილა ავტორიტეტულ მკვლევართათვის და სხვადასხვა სახის სამეცნიერო ლიტერატურაში დაინტერესებული პირი ხშირად შეხვდება ისეთ დასკვნებს, რომელსაც, მაგალითად, ქვემოთ წავიკითხავთ: „პოლიარქიისა და პოლითეიზმის, როგორც განუყოფელი წყვილის ევსებისეული შერწყმა იმაზე მიანიშნებს, რომ აბსოლუტური მონარქიანიზმის ფორმით, ერთი იმპერატორის მიერ, ყოველგვარი ძალაუფლების კონსოლიდაციის რომაულ მოდელსა და მის თანმდევ სიკეთეებს, ხალხი სრულად მანამ ვერ მიაღწევს, სანამ წარმართობა იმპერიის რელიგიად დარჩება“[6].

საიმპერატორო ტახტის ღვთიურობა

ერთი საიმპერატორო ტახტისა და ერთი ღმერთის რწმენის ქვეშ მყოფი ხალხის მართვა რომ გაცილებით ადვილია, ვიდრე დაქსაქსულისა და დაყოფილის, ეს ლოგიკურია. თუმცა, მმართველობის ამ მოდელის უპირატესობის საილუსტრაციოდ ევსების საკრალური ელემენტების შემოტანაც ესაჭიროებოდა, რაც შეძლო კიდეც. ჯ. დაგრონის აზრით: „როგორც თეორეტიკოსს, ევსების რომის იმპერიაში არსებულ საკმაოდ სერიოზულ პრობლემაზე უნდა ეპა-

[5] იქვე, XVI, 4.

[6] Baş B., Constantıne and the Chrıstıan Church: The Dıvıne Roles of the Church and the Roman Empire in Eusebıus of Caesarea's De Sepulchro Chrıstı, Islâmi Ilimler Dergisi, Vol.11, No.2, 2016, 112.

სუხა, რომელიც ადრე პოლიტიკური იყო, ხოლო მის პერიოდში კი უკვე რელიგიური. მან [ევსებიმ] შექმნა თეოლოგიური სტრუქტურა, რომელშიც უზენაესი ღმერთი სამყაროს შემოქმედი იყო და სადაც ლოგოსი, მისი ძე, საღვთო ერთიანობასა და შესაქმეს მრავალსახეობას შორის აუცილებელი მედიატორი გახლდათ. ლოგოსი სამყაროში უმთავრესად იმიტომ შემოვიდა, რომ იგი ანარქიისაგან ეხსნა. თავის მხრივ იმპერატორიც, რომელიც ქრისტეს მოძღვრებაზე მოქცეულიყო, ასევე, შუამავალი გახლდათ“[7].

ევსების მიხედვით, იქიდან გამომდინარე, რომ ღმერთი ერთადერთია, იმპერატორიც, როგორც „მეფის ნაცვალი“ დედამიწაზე, შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი.[8] შესაბამისად, ევსები საკმაოდ მწყობრ მსჯელობას გადმოგვცემს და პირდაპირ წერს, რომ იმპერიის ტახტრევანი მამა ღმერთისგან გადმოეცა დედამიწას, ხოლო, ბუნებრივი კანონების თანახმად კი იგი მის [კონსტანტინეს] ძეებზე და შთამომავლობაზე გადავიდა.[9] ამგვარად, დ. სტრინგერისთვის (D. Stringer) პრობლემა არაა პირდაპირ დაწეროს, რომ ევსებისეულ იერარქიაში პირველია მამა ღმერთი, მეორე – ლოგოსი (ქრისტე), რომელი ლოგოსიც მამის არქეტიპული სახეა, მესამე ადგილზე კი იმპერატორი დგას, რომელიც, თავის მხრივ, ქრისტე-ლოგოსის სახეა.[10] შესაბამისად, ვიღებთ შემდეგნაირ წყობას: ღმერთი-ლოგოსი-იმპერატორი-მსოფლიო.[11]

არისტოტელე პაპანიკოლაუ (Aristotle Papanikolau) აღნიშნავს, რომ ევსებისეული აღწერის თანახმად, ქრისტიანი ხელმწიფის მიერ იმპერიის მართვა, მმართველობის ღვთის მიერ განზრახულ ერთა-

---

[7] Dagron G., Emperor and Priest, The Imperial Office in Byzantium, Translated by J. Birrell, Cambridge University Press, 2007, 131-132; Toda S., On the So-called “Political Theology” of Eusebius of Caesarea, Hitotsubashi Journal of Arts and Sciences, Vol. 50, 2009, 15.

[8] იქვე, 16.

[9] Vita Constantini, I,9 (2), in: Eusebius, Life of Constantine, Translated by A. Cameron and S.G. Hall, Oxford University Press, 1999.

[10] Singh D., Eusebius as Political Theologian: The Legend Continues, Cambridge University Press, 2015, 139.

[11] იქვე, 143.

დერთ ფორმად გაიგებოდა და არა ერთ-ერთად.[12] ის ფაქტი, რომ იმპერატორი ბევრად მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ ადამიანი და მას საკმაოდ მნიშვნელოვანი საკრალური წარმომავლობა თუ ფუნქცია გააჩნდა, ანტიკური საზოგადოებისათვის უცხო არ ყოფილა. თუმცა, ევსების მიერ ჩამოყალიბებული სისტემა, გარკვეულწილად მაინც განსხვავებული გახლდათ იმ პერიოდის საზოგადოებისთვის. ბეინსი (Baynes) ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ამგვარ პოლიტიკურ თეოლოგიაში ელინისტური პოლიტიკური ფილოსოფიის გავლენა დაინახა. ჩესნატის (Chesnut) მიხედვით, პლუტარქე (პლატონიზმის მიმდევარი), სენეკა (სტოიციზმის წარმომადგენელი) და ფილონი (რომელიც ებრაელი იყო და მძლავრად განიცდიდა საშუალო პლატონიზმის გავლენას), იდეალურ ხელმწიფედ ისეთ ვიღაცას ხატავენ, რომლისთვისაც საღვთო ლოგოსი და სათნოებანია ნაბოძები. ჩესნატის აზრით, ეს სწავლება ევსებიმაც მიიღო, რომელიც აცხადებდა, რომ კონსტანტინეს განმგებლობა ღვთის მონარქიული მმართველობის ხატი იყო.[13]

კონსტანტინე და მოსე

როგორც ხელმწიფეთა ბიოგრაფებს სჩვევიათ ხოლმე, ევსები კესარიელიც საკმაოდ „წარმატებით“ ამსგავსებს კონსტანტინე დიდს საკრალურ პიროვნებებს, განსაკუთრებით კი მოსეს, რომელთან ანალოგიის შესახებაც, კონსტანტინეს ბიოგრაფიაში, საკმაოდ მწყობრ მსჯელობას ანვითარებს. შემოგთავაზებთ სამ მაგალითს.

ერთ-ერთი უპირველესი ზიარი ნიშან-თვისება, რაც, ევსების აზრით, კონსტანტინესა და მოსეს ჯერ კიდევ ბავშვობის ადრეული პერიოდიდან ჰქონდათ, იყო ის, რომ ორივე ტირანულ გარემოში იზრდებოდნენ, ანუ იქ, სადაც ხალხი ჭეშმარიტი ღმერთის რწმენას

[12] Papanikolaou A., The Mystical as Political: Democracy and Non-Radical Orthodoxy, University of Notre Dame Press, 2012, 22.

[13] Dagron G., Emperor and Priest, The Imperial Office in Byzantium, Translated by J. Birrell, Cambridge University Press, 2007, 131-132; Toda S., On the So-called “Political Theology” of Eusebius of Caesarea, Hitotsubashi Journal of Arts and Sciences, Vol. 50, 2009, 16.

ეწინააღმდეგებოდა. თუმცა, უფლის შეწევნით, ეს დაბრკოლება ორივემ წარმატებით დაძლია.[14]

კიდევ ერთი და არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტი უკვე გამოცხადების თემაა. ევსები კესარიელი ცდილობს, რომ მოსესა და კონსტანტინეს „გამოცხადებებს“ შორისაც გაავლოს პარალელი და ამითაც გამოკვეთოს მათ შორის არსებული საერთო ნიშნები.[15]

ქვეთავის დასკვნით მაგალითად კიდევ ერთ ევსებისეულ შედარებას გავიხსენებთ, რომლის მიხედვითაც, კონსტანტინეს მიერ მდინარე ტიბრზე არსებულ მილვიოს ხიდთან მაქსენციუსის ძლევა ძალიან ჰგავს გამოსვლათა წიგნის მეთხუთმეტე თავში აღწერილ მოვლენებს, სადაც, როგორც ბიბლიური თხრობა გადმოგვცემს, ღმერთის დახმარებით, მოსემ ფარაონი და მისი ეტლები მეწამულ ზღვაში „დაამარცხა“.[16]

ევსები კესარიელი და ომი

ბოლო პერიოდში, თანამედროვე მართლმადებელი თეოლოგებიც კი ღიად საუბრობენ, რომ სწორედ ევსები კესარიელი იყო ის ადამიანი, რომელმაც მწყობრი სახით პირველად შემოიტანა ქრისტიანობაში „ომის გამართლებულობის“ შესახებ სწავლება. ამგვარ აზრებს ქართულენოვან სტატიებშიც შევხვდებით: „ეპისკოპოსი ევსევი კესარიელი (+340), იმპერატორ კონსტანტინეს მრჩეველი, ომის პრაქტიკისადმი აღმოსავლეთში მანამდე ნაკლებად ცნობილ მიდგომას აყალიბებს, რომელიც ავგუსტინეს ნაშრომში „ღვთის ქალაქი“ წარმოდგენილი სამართლიანი ომის გაგებას უახლოვდებოდა. ვინაიდან რომის იმპერიას მშვიდობის დამყარების მნიშვნელოვანი მისია ეკისრა, ამ საქმეში თავისი აქტიური წვლილი უნდა შეეტანათ იმპერიაში მცხოვრებ ქრისტიანებსაც. თუკი კონსტანტინეს მოქცევამდე ქრისტიანების ჯარში გაწევრიანებას სპორადული და გამონაკლისური ხასიათი ჰქონდა, ახლა ამას უკვე უნივერსა-

[14] Vita Constantini I, 12 (1-2), in: Eusebius, Life of Constantine, Translated by A. Cameron and S.G. Hall, Oxford University Press, 1999.
[15] იქვე, I, 28-32.
[16] იქვე, I, 38 (1).

ლური და სისტემატური სახე უნდა მისცემოდა. ყველა ომის მიზანი მშვიდობა უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, ომიც მშვიდობის მიღწევის საშუალებად იქნა აღქმული“[17].

პროფესორი გიორგი დემაკოპულოსი (G. Demacopoulos) წერს, რომ ევსების მიერ დაწერილი კონსტანტინეს ბიოგრაფია არის რომაელი მმართველის საომარი საქმეების დღემდე შემორჩენილთაგან ყველაზე გვიანდელი ქრისტიანული ცნობა. რეალურად, ევსებისა და მისი მომდევნო ხანის რამდენიმე სხვა ქრისტიანი ისტორიკოსისათვის (ოროსიუსი, სოკრატე, სოძომენე და პროკოპი) საომარი წარმატება არ მიანიშნებდა მხოლოდ საიმპერიო ძლევამოსილებაზე, არამედ ამტკიცებდა იმასაც, რომ კონსტანტინე და მისი მემკვიდრენი გამორჩეულნი იყვნენ ღმერთისაგან, რათა მსოფლიო (oikumene) ემართათ. გასაკვირი არც ის იქნება აღვნიშნოთ, რომ ევსები ძველი აღთქმის წმინდანების (აბრაამი, იესო ნავეს ძე, დავითი და ა.შ.) ცხოვრებას ისეთ მაგალითებად იყენებდა, რომლებითაც „მტკიცდებოდა“, რომ საომარი წარმატება ღვთაებრივ წყალობასთანაა დაკავშირებული.[18] მაგალითად, ევსებისთან მარტივად ვიპოვით ინფორმაციებს იმის შესახებ, რომ „კონსტანტინე იყო უძლეველი და დაუმარცხებელი... მისი მონაგებიდან გამომდინარე კი შეგვიძლია იმის თქმა, რომ მასზე დიდი ხელმწიფის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება“[19].

ძალიან მნიშვნელოვანია კარგად გავიაზროთ ის, რომ ევსების მიხედვით ტირანები საკუთარ დაქვემდებარებაში მყოფ სუბიექტებს დემონებისაკენ მიაქანებენ.[20] ამგვარად, დემონიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია მათი გავლენისაგან თავისუფალი, სათნო, ქრისტიანი მმართველი. ამრიგად, ევსებისთვის

---

[17] თინიკაშვილი დ., რამდენად უცხო იყო ბიზანტიისთვის წმინდა ომის დასავლური იდეა?, წიგნში: ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, ტ. X, გ. სანიკიძის რედაქტორობით, თბილისი, 2017, 139.

[18] Demacopoulos G.E., The Eusebian Valorization of Violence and Constantine’s Wars for God, in: Constantine: Religious Faith and Imperial Policy, Edited by A. Edward Siecienski, Routledge, 2017, 118.

[19] იქვე, 118-119.

[20] Hazel J., The Demonic in the Political Thought of Eusebius of Caesarea, Oxford University Press, 2016, 179.

კონსტანტინე მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ როგორც ტრიუმ-ფატორი, ესქატოლოგიური ფიგურა, არამედ, უფრო მეტად, რო-გორც პერსონა, რომელიც წმინდა ხალხის დემონური გავლენე-ბისაგან გასათავისუფლებელ ბრძოლას ხელმძღვანელობდა.[21]

ზემოთაღნიშნული იდეის ლოგიკური გაგრძელებაა ის ფაქტი, რომ „კონსტანტინესა და ლიკინიუსს შორის გამართულ ბრძოლას ევსები „ღმერთების ბრძოლად“ აღწერს, რომელშიც ქრისტიანთა ღმერთმა საკუთარი ძლიერება აჩვენა და, შესაბამისად, იგი უფრო ძლევამოსილია“[22]. ამგვარად, ლოგიკურია, რომ უკვე პირდაპირ ვხვდებით ევსებისთან ისეთ სწავლებებს, რომლის მიხედვითაც კონსტანტინეს ჯარისკაცებმა ღვთის შეწევნით მოიგეს.[23]

დასკვნა

მოცემულ თემაში გვსურდა ძირითადი ასპექტები გამოგვეყო იმ ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური თეოლოგიის მწყობრი სწავ-ლებისაგან, რაც ევსები კესარიელმა საკუთარ შრომებში ჩამოაყა-ლიბა. აუცილებელია კარგად გავიაზროთ ის მოცემულობა, რომ ევ-სები მხოლოდ ფასეული და მოცულობითი შრომების ავტორი არ ყოფილა. ევსები კესარიელმა რეალურად ახალი სიტყვა თქვა ეკლე-სიის ისტორიაში, შექმნა მისთვის ძალიან სახასიათო მიმდინარე-ობა, სტილი და სისტემა, რომელიც დღემდე, არაერთი კუთხით, სა-კმაოდ მყარად არსებობს მართლმადიდებელ ეკლესიაში.

---

[21] იქვე, 173.
[22] იქვე, 187.
[23] Vita Constantini II.7, in: Eusebius, Life of Constantine, Translated by A. Cameron and S.G. Hall, Oxford University Press, 1999.

ASPECTS OF POLITICAL THEOLOGY OF EUSEBIUS PAMPHILI (CAESAREA)

Giorgi Lursmanashvili*

Eusebius of Caesarea (Eusebius Pamphili) is an important landmark of Christian historiography. His writings (Historia Ecclesiastica, De vita Constantini and De laudibus Constantini) are invaluable for those studying the reign of Constantine. Moreover, *De vita Constantini* is the main source for understanding the religious policy of Constantine.

The era of Constantine posed a challenge to the Church to redefine herself in association with Christianized emperor. Constantine for Eusebius embodied unity and universalism both in political and ecclesiastical spheres. For Eusebius, it was a historical necessity that the Roman Empire and the Church cooperate in concord for the sake of humankind.

On the other hand, Eusebius Caesarea has always been an object of scholarly dispute. One question that often arises is - Did Eusebius propagate Constantine's "political theology"? Aim of this paper is to analyze Eusebius of Ceasarea's paradigm for relationships between the Church and Empire.

Keywords: Eusebius of Caesarea, Constantine, Political Theology, Roman Empire, Christian Historiography.

* Master of Theology, Ph.D. Candidate, Director of the Institute for Theology and Philosophy at Sulkhan-Saba Orbeliani University.g.lursmanashvili@sabauni.edu.ge